გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, აგჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



8 ნოემბერს გარდაიცვალა

**კნეინა სოფიო აბრამის ასული თუმანიშვილისა.**

შვილნი მისნი: **ანასტასია მიხეილის ასული წერეთელი** დ თთ. **გიორგი, ვასილ დ კონსტანტინე მიხეილის ძენი თუმანიშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთა მის გარდაცვალებას. პანაშვიდი—ოთხშაბათს 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ. გამოსვენება დანიშნულია (საკუთარის სახლიდამ ბარიათინსკის ქუჩა) ვანქის სობოროში დ იქიდამ ხოჯივანქის სასაფლაოზე—ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, დილის 10 საათზედ. 2—2

დაიბეჭდა ხელმეორედ და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრილოვის არაკები

თარგმანი აკაკისა

ეს წიგნი მოწონებულია სამოსწავლო მთავრობისაგან სკოლების ბიბლიოთეკებისათვის და მიღებულია ხელსაწყობად ქართულის ენის შესასწავლად.

იმავე წიგნის მაღაზიაში იყიდება ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა ფ. 3 მ. 60 კ. და სურათი დ. ჩუბინაშვილისა ფასი 20 კაპ. (6—2)


## ტფილისი, 11 ნოემბერს

—

მკითხველს, უთუოდ ეხსომება ბულგარიის მთავარი ალექსანდრე ბატენბერგი, რომლის შესახებ ამ რვა წლის წინად მთელი ევროპა ლაპარაკობდა.

1886 წელს თავადი იძულებული შეიქნა დაენებებინა თავი ბულგარიის ტახტისათვის და დაბრუნებულიყო ისევ თავის სამშობლოში; აქ ბატენბერგი მიღებულ იქნა ავსტრიის ჯარში პოლკოვნიკის ხარისხით და ეწოდა გრაფი გარტენაუ.

ეხლა დეპეშამ შეგვატყობინა, რომ ბულგარიის პირველ მთავრად ნამყოფი ალექსანდრე სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა.

ქვეყანა, რომელსაც განაგებდა განსვენებული ბატენბერგი, დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა ხელახლად საპოლიტიკო ასპარეზზედ. სწორედ 500 წელიწადია, მას აქეთ რაც ბულგარიის ერი დამორჩილდა ოსმალთა ძლიერებას.

მაგრამ ხუთის საუკუნის მონობა ამ ქვეყნის დახსნით დამთავრდა. ბერლინის კონგრესმა ერთი ნაწილი ბულგარიისა განათავისუფლა; ხოლო აღმოსავლეთის რუმელია დარჩა ისევ ოსმალოს ხელ-ქვეით.

განთავისუფლებულს ბულგარიას სჭიროდა მართველი და ასეთ მართველად ერმა მოიწვია რუსეთის დედოფლის ძმის წულიშვილი ალექსანდრე ჰესსენისა.

ახალგაზდა 25 წლის მთავარი ალექსანდრე მხნედ შეუდგა იმ მძიმე მოვალეობის აღსრულებას, რომელიც მან იტვირთა თავის ახალ სამშობლოს წინაშე.

ცოტას ხანში განახლებული ბულგარია, სადაც მხოლოდ 3 მილიონი მკვიდრი ითვლება, ჩინებულად მოეწყო: გაიჩინა პარლამენტი, თავისუფალი სტამბა, საერო მსაჯულება, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, ზღვისა და ხმელეთის თვალ საჩინო მხედრობა და სხ. ამასთან განთავისუფლებულს ბულგარიას მიეცა საშუალება თავისუფალის ვაჭრობისა, მრეწველობისა, წარმოებისა და ყოველგვარის განვითარებისა, ურომლისოდაც ხალხის ცხოვრება უნაყოფოა და სიბნელით მოცული. ერთის სიტყვით ქვეყანა სრულიად აყვავდა და გადასხვაფერდა, მოეფინა ის სიცოცხლისა და სინათლის შუქი, რომელიც სჩვევია მხოლოდ ჯანმრთელ და თავისუფალ არსებას. დიდის ხნით დაჩაგრული და დაბეჩავებული ბულგარელი წელში გაიმართა; ხალხმა ეხლა პირველად იგრძნო, რომ ისიც ადამიანი ყოფილა და მცირე ერს, სადაც-კი სამართალი ფხიზლობს, ისეთივე წილი უდევს ქვეყნის ბედნიერებაში, როგორც დიდს სახელმწიფოს. აქ ქვეყანამ ცხადად დაინა და დარწმუნდა, თუ რა განსხვავებაა დამორჩილებულ, უფლება ახდილ მონასა და თავისუფალ მამულისშვილ შორის! ჩინებულია ასეთი წამი ერისათვის და ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, რუსეთის განსვენებულ ხელმწიფეს ალექსანდრე II, რომელსაც ხალხი უწოდებს «განმათავისუფლებელს» დიდი და ძვირფასი სიკეთე მიუძღვის ბულგარიის ერის წინაშე. 14 წლის თავისუფალმა ცხოვრებამ ეს ქვეყანა გადააქცია ძლიერ სამეფოდ.

ამიერიდგან ბულგარიას თამამად შეუძლია მოუაროს თავის თავს, რადგანაც იგი თავისუფალი ქვეყანაა და გასაჭირის დროს გამოიყვანს ბრძოლის ველზედ 300,000 ჩინებულად გაწვრთნილ ჯარს. ხოლო ეხლანდელ მსწრაფლ მსროლელ თოფ-ზარბაზნებთან ესე დონი თავისუფლებისთვის მებრძოლი რაზმი რა ძლიერებაც არის, ეს სამხედრო საქმის მცოდნეთა კარგად იციან.

როგორც ზევითა ვსთქვით ბერლინის კონგრესმა განათავისუფლა მხოლოდ ერთი ნაწილი ბულგარიისა, მეორე—აღმოსავლეთის რუმელია-კი დარჩა წინანდებურად ისევ ოსმალთა ხელში. მაგრამ რუმელია მხნედ ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ დაეხწია თავი მონობისათვის და შეერთებოდა განთავისუფლებულს სამშობლოს. ამას უცდიდა თავადი ალექსანდრეც; იგი მოურიგდა რუმელიის რევოლიუციის მეთაურს სტოიანოვს, რომელმაც ერთ ღამეს დააპატიმრა ხონთქრისგან დადგენილი გენერალ-გუბერნატორი, გამოაცხადა ოსმალთა მფლობელობის გაუქმება და დააარსა დროებითი მართებლობა.

შეიტყო თუ არა რუმელიაში მომხდარი ამბავი მთავარმა ალექსანდრემ, იმ წამსვე გამოსცა ბრძანება, რომ რუმელია ამიერითგან ბულგარიასთან შემოერთებული არისო და ჯარებით შევიდა ამ ქვეყანაში.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ისე-კი მოხდა, რომ განთავისუფლებულს რუმელიას გადაეღობა გზაზედ არა ოსმალთა მხედრობა, არამედ ჯარი თავისივე მოძმე ერისა—მხედრობა სერბიის მეფის მილანისა.

მაგრამ აჩქარებულს მეფეს ძვირად დაუჯდა ხონთქრის ერთგულება. მილანი სასტიკად დაამარცხა მთავარმა ალექსანდრემ, და ამას მოჰყვა ისა, რომ სერბიის მეფეს უნდა დაენებებინა თავი ტახტისათვის.

თუმცა არც ბულგარიის მთავარს დაუჯდა იაფად რუმელიის შემოერთება. მრავალთა მიზეზთა გამო, რომლის განმარტება შორს წაგვიყვანდა და იქნება ვერც შეგვძლებოდა, მთავარი ბატენბერგი გადაყენებულ იქნა და გაგზავნილ საზღვარ გარედ. მაგრამ დიდი საქმე განცალკევებულ მოძმე ერის შეერთებისა, თავის შეწირვა ახალის სამშობლოს დიდებისათვის, სახელოვანი გამარჯვება მტერზედ—მაინც გაჰყვა განსვენებულს ბულგარიის მთავარს ალექსანდრეს.

მეველე

# ფელეტონი

—

## რუსეთის ზღვაოსნები საფრანგეთში

(წერილი პარიჟიდამ)

20 აპრილს 1857 წელს რუსეთის ესკადრა, დიდის მთავარის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის წინამძღოლობით, შევიდა ტულონის ნავთსადგურში. აქაურმა მთავრობამ სტუმრები შესაფერად მიიღო. დიდი მთავარი საკადრისის პატივისცემით გაისტუმრეს პარიჟისაკენ. აქ დარჩა ორი კვირა, დაწვრილებით დაათვალიერა აქაურობა; მის პატივ-საცემლად გაჰმართეს დოღი ბულონის ტყეში, სადილები სასახლეში, წარმოდგენები სამეფო თეატრში, ჯარის აღლუმები და სხვ. ნაპოლეონ III-მე ორდენებით დააჯილდოვა და მთელმა სამეფო სასახლემ ძვირფასი სტუმრები ვოგზალამდე მიაცილა. დიდი მთავარი სხვა ქალაქებსაც ეწვია, ყველგან მიღებული იყო მთავრობის მიერ, როგორც უავგუსტოესი სტუმარი, და არა როგორც რუსეთის ზღვის მხედრობის წარმომადგენელი.

1 ოქტომბერს 1893 წლისა რუსეთის ესკადრა, ადმირალის ავველანის მეთაურობით, მოვიდა ტულონს. საფრანგეთს მეორედ ეწვივნენ რუსეთის ზღვაოსნები. ახლა-კი მთელი ერი შეინძრა, აღელდა, ეროვნული გრძნობა, დიდის ხნით შეგუბებული, ზღვად გასქდა და მოედო ქვეყანას. ფრანგთა სიხარულს, აღტაცებას, აღფრთოვანებას საზღვარი აღარა აქვს, დასასრული არ მიეცა, თვითეული ფრანგი დღესა! წაულობს ისე, როგორც თავის საკუთარ ოჯახის ლხინს; თვითოეული სოფელი, როგორც საკუთარ ზეგარდმო მოვლინებულ ბედნიერებას და მთელი საფრანგეთი, როგორც შესანიშნავ ეროვნულ საქმეს. წარმოუდგენელი, კალმით აუწერელი იყო ის გულ-გაშლილობა, სტუმართ-მოყვარეობა და პატივისცემა, რომელიც ფრანგებმა გამოიჩინეს რუსის ნავოსნების დახვედრის დროს.

არ იფიქროთ ვითომ ეს დღესასწაული პირ-საფერისად, ფარისევლობით და უგულოდ ყოფილიყო გამართული. შეიძლება ამ თვისებით გამსჭვალული იყოს რომელიმე სახელმწიფო კაცი, კაცი პოლიტიკასა, მაგრამ მთელი ერი—არასოდეს, მით უფრო ფრანგნი. ფრანგი ნამეტანი გულ-ღიაა, პირდაპირია: თუ გემდურის, მაშინ პირში უნდა გითხრას საყვედური, თუ გემადლიერება—შენი ძმა და ამხანაგია, შენის გულისთვის თავს დასდებს. ხოლო სამაგიეროს მოელის შენგანაც, თუ საჭიროებამ მოითხოვა; ამ სამაგიეროს მოლოდინი წინდაწინ ნაანგარიშევი არა აქვს, მოელის როგორც ძმა და ამხანაგი, გულ-წრფელი მეგობარი. ერთხელ თუ შეგამჩნია ორპირობა, აღარაფრის გულისათვის აღარ შეგირიგდება, ისპობა თქვენ შორის ყოველივე მეგობრობა; შეიძლება არ გიმტროს, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზედ-კი გაგრძნობინებს, რომ სძულხარ და არაფერში გენდობა.

მართალია, ფრანგი სიძულვილსიყვარულშიაც დაუდგრომელია, სხვადა-სხვა გრძნობის ადვილად ამყოლი, მაგრამ რა არის ქვეყანაზედ უცვლელი? დღეს თუ ღმერთს ემსახურება, ხვალ შეიძლება მამონის წინ დაიწეროს პირჯვარი, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ორსავე შემთხვევაში გატაცებით პირ-უთვნელად ჰმოქმედობს. გული სხვა ჰქონდეს და საქმე სხვა—ფრანგისთვის არ დაწერილა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ფრანგი უშიშარი და მამაცია. მისი ბუნება მუდამ მოძრაობას მოითხოვს. ფრანგი ისე ვერ დადგება, რომ ვინმე დუელში არ იწვევდეს, ამბოხებას არ ახდენდეს, პოლიციას არ ეომებოდეს და სხვ. რევოლიუციის ბარიკადაზედ ასვლა და თბილ ლოგინში ჩაწოლა ერთნაირად მიაჩნია. მაგრამ ეს თავის ოთახში ორ ფანჯარას ერთად არ გააღებს, ორმა ქარმა არ დამკრას და არ გავცივდეო.

მეორის მხრით, ფრანგები ძლიერ მხიარული ხალხია. ვსთქვათ ათი კაცი ერთად არიან თავ-მოყრილნი, ისინი უთუოდ ქეიფობენ, იცინიან, ხარხარობენ. ესაუბრეთ რაზედაც გსურთ მხოლოდ იმ პირობით,—რომ გაართოთ, გაამხიარულოთ, გრძნობა აუთამაშოთ. შეგიძლიანთ ადამიანთა უბედურობაზედაც გაუბათ ლაპარაკი, მაგრამ ფრთხილად, ისე რომ, უთუოდ გააცინოთ, სიცილი ცრემლმორეულიც რომ იყოს, არაფერია, ოღონდ სიცილი-კი იყოს.

ფრანგმა თუ რისამე გაკეთება მოინდომა, უთუოდ უნდა გაგაკვირვოს; არ მისდევს მაინცა და მაინც დიდ, ვებერთელა რასმეს: პატარა იყოს, მაგრამ კოხტა, ლაზათიანი, მოსაწონიო. იქმნება ჩიკაგოს გამოფენის ოდენა ვერაფერი გაჰმართოს, მაგრამ სამაგიეროდ გაჰმართავს პატარა გამოფენას, გასაშტერებელს და გასაოცარს. დიდ რამეზედ არ მისდის გული; ფრანგი ჩქარი და ცქვიტია, უცებ უნდა გააკეთოს ყველაფერი. სტუმრად თუ მიგიღო, პატივისცემით გადაგყვება, თავს შემოგევლება. ყველა ამასთან, ფრანგი გამჭრიახია, ჰკუაგონებით უხვად დაჯილდოვებული. დიაღ, ფრანგები სხვებს არა ჰგვანან; მხოლოდ ამათ შეეძლოთ ასე გასაშტერებლად მიღება რუსეთის ნავოსნებისა, მხოლოდ ამათ შეჰფერის ასეთი თავ-დავიწყებული მოქმედება. ფრანგმა იპოვა მიზეზი მხიარულების და მხიარულობს, მით უფრო, რომ ამ მხიარულებას ჰაზრი აქვს.

აბა, ვნახოთ, როგორი მხიარულება სცოდნია.

1 ოქტომბერს, დილის 11 საათ. ზარბაზნების გრიალმა აუწყა ტულონს, ესკადრის მოსვლა. ნავთ-სადგურის ახლო-მახლო ნაპირები, ქუჩები, სახლების აივნები და ფანჯრები გაჭედილი იყო ხალხით. დაინახეს თუ არა რუსეთის ზღვაოსნები, შეიქმნა გრიალი: გაუმარჯოს რუსეთსაო! სტუმრები მიიღეს ზღვათა მინისტრმა, ქალაქის მერმა და პრეფექტურის წარმომადგენლებმა. მინისტრმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა ავველანს: „ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა თქვენი მიღება რესპუბლიკის სახელით. ხსოვნა 1891 წ. ჩვენს გულ-

# ახალი ამბავი

** კახეთის. მემამულეთ სურდათ შეედგინათ ახალი საზოგადოება ღვინის წარმოებისა და ვაჭრობისა. ამ აზრით კიდეც შეიმუშავეს წესდება და ამ დღეებში ეს წესდება უკვე წარედგინება კიდეც მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად. ამასობაში, რაკი დიდად სასურველია, რომ ამ თავითვე ნაცადი იყოს პრაქტიკულად ამ საქმის მოწყობა და მომართვა, ათამდე კახეთის დიდმა მემამულემ შეადგინეს ამხანაგობა ღვინის მოყვანისა და ვაჭრობისა იმავე პირობით, რა პირობებიც აღნიშნულია ზემოდ დასახელებულ წესდებაში. უკვე შეკრებილია საჭირო თანხა ამ საქმის დასაწყებად და ოცი-ათას ვედრამდე ღვინო. დანიშნულ იქმნა ღვინის დამყენებელი და ორი ამხანაგთაგანიც საქმის მმართველად დაინიშნენ.

** გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა ამიერ-კასპიის მხრიდამ ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვლადიმირ ალექსეევი-მესხიშვილი, რომელიც მრთელს ამ სეზონს მონაწილეობას მიიღებს ქართულ წარმოდგენებში.

** ბათუმიდგან იუწყებიან, რომ რუსეთში ცნობილს ჩაის გამყიდველ ფირმას ამ დღეებში ჩინეთიდგან მოუვიდა გემით 10,000 ჩაის მცენარე ჩაქვში დასარგველად. ამავე გემით ბათუმში ჩამოვიდნენ რამდენიმე ჩინელნიც, რომელთაც ჩაის მცენარეებს უნდა მოუარონ.

** ტფილისის 1 საპოლიციო განყოფილების ბოქაული კ. ი. სვიმონოვი დანიშნულ იქმნა ქუთაისის პოლიცმეისტრის თანამდებობის ასრულებლად, თავად ზ. ჭავჭავაძის მაგიერ, რომელმაც ავადმყოფობისა-გამო სამსახურს თავი დაანება. ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა კ. სვიმონოვს, ჩქარა გაათავოს გამოძიება რაშკევიჩის მოკვლისა, რომ აქაურ საქმეებისაგან განთავისუფლდეს და ისე ჩაიბაროს ახალი თანამდებობა.

** მინისტრთა კომიტეტს ამ ცოტას ხანში ექნება სჯა ოდესის ერობის თხოვნის გამო შესახებ იმისა, რომ შეცვლილ იქმნას 51 მუხლი სავაჭრო გარდასახადებისა იმ გვარად, რომ მეურნეებს, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ვაჭრებიც არ არიან, ნება ჰქონდეთ ნავთ-სადგურებში გაჰმართონ საწყობნი, გილდის მოწმობის აუღებლად, და ჰყიდონ ჭირნახული და ყოველი მიწის მოსავალი.

** ამიერ კავკასიისა და კასპიის იქითა მხარეს სააქციზო გარდასახადების სამმართველო შესდგომია ყველა დებულების განხილვას, რაც-კი არაყის ხდას შეეხება კავკასიაში, იმ განზრახვით, რომ საერთო კანონპროექტი იქმნას შემუშავებული და ფინანსთა მინისტრისმიერ სახელმწიფო საბჭოს წარედგინოს.

** გვთისხევი (ქართლი): საქონლის ჭირმა დიდი ზარალი მოგვცა. დაიწყო ზაფხულს, როცა მუშაობა იყო გაჩაღებული, და დიდხანს თავი არ დაგვანება. ზევრს ეუბნებოდნენ და ეჩიჩინებოდნენ, ჭირით დახოცილი საქონელი მიწაში დაჰფალით გაუტყავებელი სოფელ გარეშეო, მაგრამ ეს ლაპარაკი და ჩიჩინი არავის ეყურებოდა. ჭირით დახოცილ საქონელს მაინც ატყავებდნენ, ტყავებს საქალამნედ ინახავდნენ და ხორცს შეექცეოდნენ. ვინც-კი დამარხა ჭირიანი საქონელი, იმასაც მიწიდან იღებდნენ, ატყავებდნენ და ლეშს ისევ ჰმარხავდნენ. ჭირიან საქონლის ხორცის ჭამა ხალხს იაფად არ დაუჯდა: ავად ხდებოდნენ და ისეც მომცდარნი უფრო სცდებოდნენ შრომასა და მუშაობას.

ახალი მამასახლისი ამოვარჩიეთ ჩვენც, აზნაურშვილთაგანი და იმედი გვაქვს, რომ ახალი მამასახლისი, როგორც უფრო შეგნებული კაცი, უკეთ მოუვლის სოფელს.

## დამაკვირდი

—

მხოლოდ ჭეშმარიტებაშია სიბრძნე.

გეტე

**

ხანდახან ჭკვიანიც არის ხოლმე სულელი, ხოლო სულელი-კი—არაოდეს ჭკვიანი.

სალონტინ.

**

პატიოსნება ჩვენი გარეგანი სინიდისაა, სინიდისი ჩვენი შინაგანი პატიოსნებაა.

შოპენჰაუერი.

## კორესპონდენცია

—

**ხაშური**, 9 ნოემბერი. გუშინ საღამოს, 7 საათზედ, უცბად გაუჩნდა ცეცხლი ქ-ნ ბაჩაგოვის ერთ-სართულიან ქვის შენობას სარდაფითურთ, რომელიც რამდენსამე საათში სულ გადიწვა. ღვთით, ცეცხლი სხვაგან არსად არ გადასულა, რადგანაც იღბალზედ ქარი სრულებით არა ჰქროდა; სარდაფში იყო საწყობი საქონლისა რუსეთის საზოგადოების კანტორისა, რომელშიაც ძალიან ბლომად ეწყოთ საქონელი. გადაანარჩუნეს მხოლოდ რამოდენიმე ცალი ფარჩეულობა და ფქვილები. ზარალი ხსენებულ საზოგადოებისა, როგორც ამბობენ, 15,000 მანათამდეა. აგრეთვე ზარალი მოუვიდათ ზემო-სართულში მოვაჭრეებს, ძმათა გრძელოებს, ჩიქოვანს და სხვებს.

სახლი დაზღვეული ჰქონია ქ-ნ ბაჩაგოვისას „ნადეჟდის“ დამზღვევ საზოგადოებაში 8,000 მანეთად.

ხაშურში ცეცხლის გაჩენა იშვიათი ამბავი არ არის; თითქმის წელიწადი არ გაივლის, რომ აქ ცეცხლი არ გაჩნდეს და არ იმსხვერპლოს რამდენიმე წლის ნაღვაწ-ნადაგი საწყალის ხალხისა და მშრალზედ არ დასტოვოს ულუკმა-პუროდ. საკვირველია, ნუ თუ სულ ესე უყურადღებოდ უნდა იყოს ასეთი მდგომარეობა და არავითარი ღონე არ უნდა იღონონ უბედურობის ასაცდენად?

როცა ცეცხლი ეკიდებოდა შენობას, ქუჩები სავსე იყო ხალხითა, მაგრამ შესცქეროდნენ მხოლოდ სეირს და აზრადაც არ მოსდიოდათ რაიმე დახმარება მიეცათ და ჩაექროთ ცეცხლი, რაიცა ვგონებ, პირველში ამოდენა ხალხს არ გაუჭირდებოდა; ან სად იყო კაცი განკარგულებისათვის? მაგრამ რა განკარგულება, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ ასე ხშირი შემთხვევაა არავითარი ხელსაწყო ცეცხლის საქრობელი იარაღი არა გვაქვს-რა. ვგონებ, ხაშურს არ გაუჭირდებოდა შეეძინა ცეცხლის საქრობი მანქანა? მოქალაქეთაც რომ არ გამოეღოთ ფული ამისთვის, ვგონებ ისედაც ადვილი მოსახერხებელი იყო შეეძინათ ხსენებული იარაღი, მაგრამ სად არის კაცი, რომელიც ზრუნავდეს და თავს იტკენდეს საზოგადო საქმისთვის?

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ხაშურს 1600 მანეთი წლიური შემოსავალი აქვს, რომელიც, ვგონებ, დაბის განსაკარგებლად უნდა იხმარებოდეს, მაგრამ ამ ფულით სარგებლობს მხოლოდ სოფლის საზოგადოება. არ ვიცი-კი, რამდენათ კანონიერია ასეთი საქციელი. თუ ხსენებულ საზოგადოებას სურს მიიღოს დაბის შემოსავალი, ნუ თუ ისიც არ უნდა ისურვოს, რომ ამ ფულიდგან რამდენიმე ნაწილი დაბისთვის გადასდოს? შეაკეთოს ქუჩები, გაანათოს ბაზარი, გაწმინდოს არხები და სხვ? ან ნახევარის წლის შემოსავალი გაემეტნათ და შეეძინათ ცეცხლის საქრობი მანქანა, რომელიც დიდ შეღავათს მისცემდა დაბას გაჭირვების დროს.

ამ ორის წლის წინად, რაკი ცეცხლის გაჩენა ხშირი შემთხვევა იყო აქ, ყველა დამზღვევ საზოგადოებათ საჭიროდ დაინახეს, უარი ეთქვათ საქონლის დაზღვევაზედ ვაჭართათვის, ვისაც დაზღვეული ჰქონდათ, იმათაც უარი უთხრეს. შესაძლოა, რომ სახლების დაზღვევაზედაც უარი სთქვან დამზღვევ საზოგადოებათ და მაშინ მაინც მოვიდნენ გონს აქაურები.

ვლადიმერ ჩიქოვანი

—

**დაბა აბაშა.** (სენაკის მაზრა) ვიდრე ფოთი-ტფილისის რკინის გზას გაიყვანდნენ, აბაშა უბრალო სოფელი იყო. აშენდა თუ არა აქ რკინის გზის სადგური, აბაშის საქმეც წარმატებაში შევიდა. მას აქეთ დღითი-დღე მოვაჭრეთა და ხელოსანთა რიცხვი მატულობს აღებმიცემა ძლიერდება და ეს მცირედი სოფელი გვარიან მოზდილ დაბას დაემგზავსა, თან-და-თან წარმატებაში შედის აგრეთვე აქ სწავლა-განათლების საქმეც. აქ არსებულ სასოფლო სკოლა 1893-ის წლის პირველ ენკენისთვიდამ ნორმალურ ორ კლასიან სკოლად დამტკიცდა. ამ სკოლაში ეხლა ასწავლიან მებაღობას, მებოსტნეობას, დურგლობას და წიგნის კაზმვას. ამ საგნების მასწავლებლად დანიშნულია ცალკე მასწავლებელი. 1-ნოემბრიდამ ამავე წლისა აქაურ ნორმალურ სკოლასთან გაიმართა დედათა განყოფილება. მასწავლებლად დანიშნულია ტფილისის საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრებული ქალი. მოსწავლეთა რიცხვი ამ მცირე ხანში ორმოცამდე ავიდა. ეს დედათა სკოლა მეორე არის მრთელს ვრცელ სენაკის მაზრაში. დიდის სიხარულით მიეგება აქაური საზოგადოება ამ სკოლას.

ამ ჟამად აბაშის მახლობელ სოფლებში გავრცელებულია ყელჭირვება (კისერა).

X.

---

ში ჩაუქრობლად ჰღვივის. ამიერიდგან კრონშტად-ტულონი ჰნიშნავს იმ ღრმა თანაგრძნობას, რომელიც დამყარდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის. დარწმუნებული იყავით, რომ ამ ნაირის გრძნობით იქმნებით მიღებული ყველგან, მთელს საფრანგეთში“... მერმა უთხრა: „ყველა ფრანგის გული აღსავსეა გამოუთქმელის სიხარულითა და აღტაცებით. საფრანგეთი დაგარწმუნებთ, თუ რა გულწრფელი მეგობარია რუსეთის ჩვენი ქვეყანა“...

ტულონს მოაწყდა აუარებელი ხალხი. მატარებლებს დღეში 160 ათასი მგზავრი შემოჰყავდა ქალაქში. ქალაქის ყველა კუთხეში იმართებოდა დაუსრულებელი მეჯლიშები, ცეკვათამაში, წარმოდგენები და სხ. ადმირალ აველანს ურიცხვი მოლოცვის დეპეშები და წერილები მისდიოდა დეპარტამენტებიდგან და ყველა უცხოეთში მყოფ ფრანგთა საზოგადოებათაგან. საყურადღებოა დეპეშა ელზას-ლორენიდგან გამოგზავნილი: „დღეს ის ეროვნული დღესასწაულია, როცა ორი დიდებული ხალხი ერთმანერთს პატივისცემას და სიყვარულს უმტკიცებს. ამ დემონსტრაციების ხმაურობამ გაარღვია საფრანგეთის საზღვრები და მოხვდა ჩვენს გულს. დარწმუნებული იყავით, რომ სე ჩვენთვის, ყველა იმ ელზასელისათვის, რომელსაც-კი იმედი აქვს უკეთესის მერმისისა, იქნება საუკუნოდ დაუვიწყარი და მარად მოსაგონებელი... ამისათვის ვუერთდებით ჩვენს თანამემამულე ფრანგთ და გიცხადებთ ღრმა პატივისცემას, გაუმარჯოს რუსეთს! გამარჯოს საფრანგეთს!

ყოველ ფეხის გადადგმაზედ ხალხი დიდს ოვაციებს უმართავდა აველანს და აღტაცებით ეგებებოდა. აველანი ტულონში დარჩა სამი დღე, 4 ოქტომბერს საღამოზედ აველანი და 50 აფიცერი საგანგებო მატარებლებით გაემგზავრნენ პარიჟს. ჩვენ არ შევეხებით დღესასწაულების ოფიციალურ მხარეს: სადილებ-ვახშმებს, სადღეგრძელოებსა და სხ. მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ იმას, თუ როგორ მიეგება რუსთ თვით ერი, ხალხი.

პარიჟი ზღვაოსანთა მისვლის წინა დღეს.

დიდრონ ქალაქებში უცხოელის ყურადღებას პირველად უსულო საგნები იქცევს: სახლები, ქუჩები, ბაღები, ძეგლები და სხ. პარიჟში შეგიძლიანთ მთელი თთვეები გაატაროთ და მათის ცქერის მეტი არა გააკეთოთრა. მაგრამ დღეს პარიჟს ჩვეულებრივი სახე არა აქვს. ის ხვალ დილით სტუმრებს მოელის; ამისათვის დიდს მზადებასა და ფაცა-ფუცშია. თანდათან დღესასწაულობის ფერს იღებს. სახლის აივნები და ფანჯრები ბაირაღებით არის შემკობილი. მოსჩანს, როგორც საფრანგეთის ეროვნული (თეთრი, ნაცრისფერი და წითელი ნაჭრები ერთიერთმანერთზედ მიკერებული), ისე რუსეთის ბაირაღები, ერმანერთშია არეული, ქუჩებში დიდი მოძრაობაა, ხალხით სავსეა; ყველას მხიარულობა ატყვია. დიდრონ ქუჩებზედ სიარული გასაჭირია, მოსეირნეთა სიმრავლის გამო საშინელი ბუღი ტრიალებს. გავექანე ვიწრო, მიფარებულ ქუჩებისკენ, ეგებ სული მოვიბრუნო მეთქი. მაგრამ აქაც ისეთი მოძრაობა და ხმაურობაა. ერთ ალაგას თავი მოუყრიათ და ცეკვა-თამაში გაუმართავთ; მეორე ალაგას ხალხი შემოჰხვევია განცხადებას. განცხადებაზედ დიდი ასოებით სწერია: ხვალ, დილის 9 საათზედ გვესტუმრებიან რუსეთის ზღვაოსნები. მესამე ალაგას სხვა-და-სხვა საკრავი ატკბობს მსმენელთა ყურს. ხალხის ჟრიამული და ეტლთა მოძრაობა ისეა არეული, რომ ყურთა-სმენა აღარ არის. გაველი ბულვარზედ, აქ ხეების ტოტები სრულებით აღარა სჩანს. მათი ალაგი ბაირაღებს დაუჭერია. ყველა ხის ძირას ფოთლები და ყვავილებია დაგროვებული.

— რად გინდათ ამდენი ყვავილები?-ვკითხე ერთ იქ მდგომს.

— ხვალისთვის არის საჭირო, როცა აველანი გამოივლის ეტლით, ყვავილები უნდა შევაყაროთ, მომიგო მოსაუბრემ.

— საუცხოვოდ არის მორთული ბაირაღებითა და მწვანით დეპუტატთა პალატა და სენატის შენობა ზედვე არის დაწერილი ყვავილებით: გაუმარჯოს რესპუბლიკას! რაც დრო-გადის ქალაქი მით უფრო ჰღელავს, ბობოქრობს, ქეიფი და სიამოვნება მატულობს და სადგომებიდგან ქუჩაში გადმოდის. პარიჟი დღეს მთელი საფრანგეთია. სხვა-და-სხვა მიმდინარეობა, რომელიც პროვინციებში დაფანტულია და სუსტად სცქეფს, აქ ერთად მოგროვილა და ერთი-მეორეს დასჯახებია. მაგრამ ყველა ამაებზედ ერთი რამ გაბატონებულა და ჩაუნთქავს მკვიდრთა ყურადღება: როგორ მივეგებოთ ხვალინდელ სტუმრებს ისე, რომ ქვეყანა გავაშტეროთო? აი ამაზედ ზრუნავენ დიდი და პატარა, მთავრობა და საზოგადოება, მდიდარი და ღარიბი. ერთ დუქანში შევედი და, სხვათა შორის, მედუქნეს ვკითხე:

— რა ამბავია, რომ ასეთ მზადებაშია მეთქი ქალაქი?

— განა არ იცით? ხვალ ველით პატივსაცემ სტუმრებს, რუსის აფიცრებს—მიპასუხა ისეთის კილოთი, რომ კაცს ეგონებოდა, მარტო ამ მედუქნის სტუმრები მოდიან ხვალაო.

— თქვენ ელით საკუთრად? დავეკითხე მე.

— დიაღ, ბატონო, მე, ჩემი მეზობელი, ნაცნობ-უცნობი, ერთის სიტყვით ყველანი, მთელი პარიჟი. აქ თუ რამე კეთდება, ჩვენით კეთდება და მაშ ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი სტუმრების წინაშე თუ არა ჩვენ?—განმიმარტა მედუქნემ.

აქეთ-იქით სიარულმა და მრავალგვარმა შთაბეჭდილებამ ისე დამღალა და მომქანცა, რომ ვარჩიე, მოვშორებოდი ამ ქუჩის მოძრაობას და სადმე მომესვენა. სასტუმროში რომ შევედი, პირველად, კანონისამებრ, ვინაობა მკითხეს მე ვუთხარი სახელი და გვარი და ჩასწერეს.

— საიდან ხართ? მეკითხება სასტუმროს უფროსი.

— კავკასიიდან, ვუპასუხე.

ამ კაცმა ერთი შამომხედა და თავი გაქნია, რაღაცაზედ ჩაფიქრდა; მაშინვე მივხვდი, ეს უთუოთ კავკასიას ეძებს გონებაში მეთქი და შევეკითხე: რაზედ დაფიქრდით?

— უკაცრავად მაგრამ ერთი უნდა გვითხრათ, კავკასია ქალაქია თუ მხარეა? მეც ავუხსენი, რომ ეგ მხარე რუსეთის იმპერიაში არის მეთქი. არ დამისრულებია ეს სიტყვა, რომ ერთი ამბავი ასტეხა: აჰ, აჰ რუსი ყოფილხართ, რუსი, რატომ აქამდინ არ მითხარით?—მომხვია ხელი კარგი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

იმის გამო რომ, ოდესის გრადონაჩალნიკმა მიიხმო Одесск. Лист.-ის რედაქტორი და თანამშრომელი და „სასტიკი საყვედური“ უთხრა გაზეთი Рус. Жизнь. სწერს:

როდესაც მთავრობა საყვედურს ეუბნევა ვისმე, მაშინ ყველამ იცის რა მოსდევს ამ საყვედურს და მხილებას. რედაქტორმა, რომელსაც გაფრთხილება გამოეცხადა, იცის რის მომასწავლებელია ეს გაფრთხილება. არც ცენზორსა აქვს ეჭვი, ერთის საყვედურის შემდეგ რა მოელის, სრულიად სხვასა ჰგრძნობს რედაქტორი; მოულოდნელად გრადონაჩალნიკთან ანუ გუბერნატორთან მიხმობილი სასტიკის მხილებისათვის რა მოელის, რომ არ შეისმინოს ეს „მხილება“ ან ვერ მიხვდეს, რას ავალებს იგი მომავალში? გუბერნატორს ანუ გრადონაჩალნიკს ნება არა აქვს მოსპოს ან დროებით შეაჩეროს გაზეთი, ხოლო გამხილების უფლებაც ხომ არა აქვს და ამხილებს-კი; მაშ რა არის იმის თავმდება, რომ რედაქტორს არა ეგნება-რა და იმის გაზეთი არ აღიკრძალება? ამასგარდა გუბერნატორს ჭ გრადონაჩალნიკს თუ de jure არა, de facto მაინც დიდი უფლება აქვს მინიჭებული განაგოს „მცხოვრებთა“ ბედიღბალი, თუ გამხილება საკმარისი არ იქმნება, ხომ შესაძლებელია სასტიკი ღონის ძიებაც მოჰყვეს. დღეს გასამხილებლად მიხმობილი რედაქტორი ხვალ შეიძლება მიიხმონ ბრძანების მოსასმენად, ქალაქს გარეთ გამგზავრეთ. ჩვენის პროვინციების მწერლობა ისეც გაჭირვებულს მდგომარეობაშია და განა საჭიროა კიდევ ადმინისტრაციის წესით გაგზავნის შიშიც გულს უწუხებდეს?

## რუსეთი

რავდენსამე განათლებულ კაცს განუზრახავს სცადონ საერთოდ მიწის შემუშავება ციმბირში. ეს კაცნი მიიწვევენ რავდენსამე ღარიბს ოჯახს, ციმბირში გადასახლებულს, და შეამუშავებინებენ მიწას იმ ადგილებში, სადაც რიგიანი მოსავალი იცის. როგორც მიწის ამორჩევა, აგრეთვე ხელმძღვანელობა მუშაობის დროს მინდობილი ექმნება გამოცდილსა და დახელოვნებულ აგრონომს.

—

მომავალ პირველ იანვრიდგან ახალი საკონსულო ტარიფი იქმნება შემოღებული, დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნების ყველა კონსულებმა ერთგვარი გარდასახადი უნდა აიღონ როგორც გემებისაგან, ისე სხვა და სხვა ხელ-შეკრულობის დასამტკიცებელი, საქმის ხარჯი, რომელიც შეუძლიან კონსულმა გაარჩიოს და სხვა.

—

სახელმწიფო საბჭოს უკვე წარედგინა პროექტი სამეურნეო სამინისტროს დაარსებისა. სულ სამი წელიწადია, რაც ლაპარაკი დაიწყეს ამ სამინისტროს დაარსების შესახებ. მაშინ ამბობდნენ, ამ სამინისტროს დაარსება მეტად ძნელიაო. და ეხლა-კი აღმოჩნდა, რომ სამეურნეო სამინისტროსთვის წელიწადში მხოლოდ 250 ათასი მანათის ხარჯი მოემატება. იმედია, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე მალე განხორციელდება.

### ტყუილი პაპი

საფრანგეთის სამხრეთ მხარეში, ლუანში „ღვთის მშობლის ტაძარს“ რომ უწოდებენ, ერთი სათნო მანდილოსანია მარიამ ჯენოვეფა, რომელსაც თვით ღმერთი ელაპარაკებაო. პაპი ყურადღებას არ აქცევდა ამ მანდილოსანის უცნაურ ლაპარაკს, მაგრამ ბოლოს დროს-კი შეწუხდა.

ამ მანდილოსანს უთქვამს, რომ პაპი ლეონ XIII, რომელსაც წმინ. პეტრეს ტახტი დაუჭერია 1892 წ. აღდგომის დღიდგან 1893 წლის აღდგომამდე, ნამდვილი პაპი არ არისო, არამედ მოტყუებით დაიჩემა ეს სახელიო. ნამდვილი პაპი, უხუცესი წმ. მამა დაპატიმრებულია ვატიკანის საბნელეთშიო.

მანდილოსნის სიტყვა ირწმუნეს ერთმა მღვდელმა და ერთმა ნოტარიუსმა, რომლებიც რომს გაემგზავრნენ იმ განზრახვით, რომ ყოველნაირი ღონისძიება იხმარონ და წმ. მამა საბნელეთიდგან დაიხსნან. ნოტარიუსმა თხზულებაც გამოსცა ამ სათაურით: „დიდი მოწამე ლეონ XIII“ და მრავალი წიგნი უფასოდ დაარიგა რომის ყველა ეკკლესიებში. სხვათა შორის ეს ამბავი დაიჯერა გრაფინია კოროლინა სენ-არნომ, მარშალ სენ-არნოს და პაპის გრიგოლ XIV-ის ნათესავმა, და გაავრცელა ხმა, რომ ნამდვილი პაპი ლეონ XIII დაპატიმრებულია და იმის ადგილი სხვას უჭირავს, რომელიც იმას ძალიანა ჰგავს სახითაო!

ესევე ირწმუნა თურმე არქიეპისკოპოსმა დურაცცომ; მკურნალმა სტამპმა და სამმა პაპის კარის მცველმა, რომელთაც განიზრახეს ტანჯულ პაპის განთავისუფლება,

იტალიის პოლიციამ შეიტყო ეს ამბავი, რომელმაც ძალიან ბევრს აღუძრა ეჭვი ნამდვილ პაპის წინააღმდეგ და ზოგს კარდინალსა და პრიმასაც შეუცვალა გული. გამოძიებამ აღმოაჩინა ამ ჭორების გამავრცელებლები და დააპატიმრა. მაგრამ ამით მითქმა-მოთქმა მაინც არ შესწყდა და ბევრი ეხლაც დარწმუნებულია, რომ ნამდვილი პაპი მართლა საბნელეთში იტანჯებაო.

## უცხოეთი

**ინგლისი.** საზოგადოებათა პალატას გლადსტონმა ორს საკითხავზედ უნდა უპასუხოს:

ა) არის ამ ჟამად მოლაპარაკებარამ რუსეთსა და ინგლისს შორის შესახებ იმისა, რუსეთს უფლება აქვს თუ არა ხმელთა შუა ზღვაში თავისი ესკადრა იყოლიოს?..

და ბ) რამდენად ძლიერია ამ ჟამად რუსეთის ფლოტი? გლადსტონს არც თუ ძლიერ ესიამოვნება ამ საგანზედ ლაპარაკი, მაგრამ საეჭვო კია, რომ ამ საქმეს როგორმე თავი დააღწიოს.

—

გამოჩენილი ეკონომისი მოლინარი გაზეთ Times-ში რჩევას აძლევს ევროპის პატარა სახელმწიფოებს, პირი შეჰკრან და მშვიდობიანობის დამცველი კავშირი დაარსონ. ეს კავშირი უნდა შეადგინონ ჰოლანდიამ, ბელგიამ, შვეიცარიამ, დანიამ და, თუ შეიძლება შვეცია-ნორვეგიამა და ოსმალეთმაო. კავშირის თავმჯდომარედ ინგლისი იქნება და ყოველთვის მზად უნდა იყვნენ თავისი ძალ-ღონე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიჰმართონ, რომელიც მშვიდობიანობის დარღვევის სურვილს გამოიჩენს. მოლინარის აზრით, ამ პატარა სახელმწიფოებს მილიონი ჯარი კაცი ჰყავს, ძლიერი ფლოტი აქვთ და შეუძლიანთ მშვიდობიანობისა და ომის ბედ-იღბალი ხელთ-ეპყრათ.

ამ პროექტის გამო გაზ. „Рус. Жизнь ამბობს: თვითონ ამ კავშირმა თავის უძლიერეს სახელმწიფოს—ინგლისის ბატონობა რომ მოინდომოს ხმელთა შუა ზღვაზედ და ჩრდილო-ამერიკაში? არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამთა-კავშირიც თავის თავს მშვიდობიანობის კავშირს უწოდებს და ფრანგ-რუსის მეგობრობაც სწორედ მშვიდობიანობის დაცვა აქვს აზრადო.

—

**იტალია.** ოფიციალური გაზეთი Italie ამბობს, მეფე ჰუმბერტოსთან სადარბაზოდ მისვლა გრაფ კალნოკისა სამთა კავშირის სიმტკიცის ნიშანიაო.

Tribwha სწერს, ეს ამბავი ავსტრიის იმპერატორის ვიზიტს მოასწავებსო.

—

**გერმანია.** თავ. ბისმარკს განზრახვა აქვს ბერლინის ერთ-ერთი გაზეთი შეიძინოს, სახელდობრ Berlinep Neueste Nachrichten. ამ გაზეთის გამომცემლებად იქმნებიან გრაფი ლონნერსმარკი და თავ. ფონტენბერგი. გაზეთის მეთაურად თვით თავ. ბისმარკი იქმნება.

—

**ესპანია.** ბარსელონის თეატრში მომხდარ ამბის შესახებ გაზეთი Autoritè სწერს, საჭიროა საერთაშორისო კომისია დავაარსოთ იმის გამოსარკვევად, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული ანარქისტთა წინააღმდეგ. ამ საქმეში მეთაურობას ესპანია იკისრებს.

—

**ბულგარია.** საერო კრება მოწვეულ იქმნა 27 ოქტომბერს. ეს კრება შემდგარია ახალ კონსტიტუციის წესით და დეპუტატთა რიცხვი წინანდელზედ ნახევრით ნაკლებია. უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა სტამბულოვის წყალობით არის არჩეული; დანარჩენნი ვერა თავსდებიან ერთმანერთში და, როგორც ეტყობათ, იმათზედაც ჰმოქმედობს უთანხმოება, რომელიც სუფევს მთავარსა და ხალხს შორის. ფიქრობენ, რომ კრებაზედ მთავრობის საწინააღმდეგო ლაპარაკი ასტყდებაო.

—

**ოსმალეთი.** ინგლისის მთავრობამ მოსწერა სერფორდს, ეცადე, რომ ხონთქარმა სომეხთა სასარგებლოდ ფირმანი გამოსცესო.

ეს საქმე ამ ჟამად არც თუ ისე ადვილია და, სერფორდის სიტყვით, საკმარისია, სარევიზიო კომისია დაინიშნოს ვილაქტებში სომეხთა მდგომარეობის განსახილველად, საიდგანაც დიდძალი საჩივრები მოდის სომხებისგანაო. ხონთქარი ამ საქმისთვის ყურსაც არ იბერტყავს. სტამბოლში ამბობენ, სომხები მხოლოდ კომიტეტებშიო.

---

ნაცნობივით და მეორე ოთახში გამიყვანა.

— რუსი გვესტუმრა!-მოახსენა იქ მყოფთა, რომელნიც სადილს შეექცეოდნენ. ამ სიტყვებზედ ეს დარბაისელნი ფრანგნი აიშალნენ სუფრიდამ და შემომეხვივნენ; ხან ერთი მპატიჟობს, ხან მეორე; ზოგი მეუბნება, ამა და ამ ნომერში ვარ და ნასადილევს მნახეო და სხ. ერთის სიტყვით, აღარ მომეშვნენ. ბოლოს, როგორც იყო, გავთავისუფლდი მით, რომ ვუთხარი: მართალია, რუსის ქვეშევრდომი ვარ, მაგრამ რუსი-კი არა ვარ მეთქი. ამის შემდეგ-კი დალაგდნენ და მეც დამანებეს თავი. პარიჟში თუ-კი სთქვით ეხლა, რუსი ვარო, თავს შემოგევლებიან, როგორ გასიამოვნონ აღარ იციან. ერთის სიტყვით, რუსის სახელს პარიჟელი თაყვანის-ცემით ეპყრობა დღეს.

6 ოქტ. დილით ადრე მთელი პარიჟი ფეხზედ იდგა. ექვს საათზედ ქუჩები ხალხით გაივსო. ყველა ერთ მხრისაკენ მიიჩქაროდა; ყველას სურს დანიშნულ ალაგას ადრე მოვიდეს და საუკეთესო ბინა დაიჭიროს. ამისათვის ერთი ვაი-უშველებელი და ორონტრიალია იმ ქუჩაზედ, რომელიც ვაგზლისაკენ მიდის. ეს ზღვა ხალხი მარტო ამ ქუჩას მოაწვა. ისეთი მუშტი-კრივია გამართული, რომ რაღა მოგახსენოთ; ვისაც ნებით არ უშვებენ, ძალათი არღვევს ხალხის კედლებს და გზას იკეთებს. დაჰკრა 9 საათი. რაღაც გამოურკვეველი ჟრიამული და ხმაურობა შეიქმნა. გავიდა რამდენიმე წამი და გამოჩნდა მატარებელი, ყვავილებითა და ბაირაღებით მორთული. პირველად მოვიდა დელეგაცია პარიჟს მიერ ტულონს გამოგზავნილი სტუმართა მოსაპატიჟებლად. ათის წამის შემდეგ მოახლოვდა მეორე მატარებელი, რომელშიაც ადმირალი აველანი ზის თავის მხლებლებით. როგორც-კი შემოვიდა ვაგზალში, ხალხმა დაიგრიალა: «გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს რუსის მხედრობას!» ამ დროს დაუკრეს რუსეთის საერო საგალობელი. ხალხმა ქუდ-მოხდით მოისმინა. აველანი გამოვიდა ვაგონიდამ და ქალაქის წარმომადგენელმა მიჰმართა ამ სიტყვით: ადმირალო, ბედნიერი ვარ, რომ მე პირველად გილოცავ პარიჟის მუნიციპალიტეტის სახელით თქვენს აქ მობრძანებას. ტულონშივე მოგახსენეთ, როგორ მიგიღებენ პარიჟელები მეთქი, აი, გაჰხედეთ ქუჩებს, ორი მილიონი ფრანგი თქვენ გელოდებათ, რათა დაამტკიცოს მეგობრობა და ერთობა ორის ქვეყნისა: რუსეთისა და საფრანგეთისა.

ზღვაოსნები ჩასხდნენ ეტლებში და ნელის ნაბიჯით გაემგზავრნენ. ხალხი დაედევნა უკან ყვირილით: გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს ხელმწიფეს! გაუმარჯოს აველანს! რუსებმაც პასუხი მოსცეს: გაუმარჯოს საფრანგეთს! რამდენსამე ეტლს ხალხმა გზა გადაუღობა და შუაში მოიმწყვდია. შეიქნა ტაშის ცემა, მოინდომეს ცხენების გამოშვება და ეტლის ხელით წაყვანა, მაგრამ აფიცრები არ დასთანხმდნენ, ბოლოს, როგორც იყო, მეეტლემ გზა გაიკვალა. გავიდნენ რესპუბლიკის მოედანზედ (Place de la Pepublique) აქ აფიცრები გაჩერდნენ, რესპუბლიკის ძეგლს თაყვანი სცეს და ისეთის გრძნობით წარმოსთქვეს: გაუმარჯოს რესპუბლიკას! რომ ელექტრონივით დაუარა ყველას ტანში და ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია. მიუახლოვდნენ დიდ ბულვარს. ხალხში აღტაცება თანდათან მატულობს, ყველა ქუდ-მოხდილია. მუსიკა უკრავს რუსეთის საერო საგალობელს. აფიცრებმა დაიძახეს: „გაუმარჯოს საფრანგეთს“! „მარსელიეზა“! (საფრანგეთის საერო საგალობელია) ორკესტრმაც მაშინვე „მარსელიეზა“ დაუკრა; აფიცრებმა ხმაააყოლეს და სიმღერით გასწიეს. მიუახლოვდნენ სამხედრო სადგომს (Cercle militaire). აქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და დილიდგანვე იცდიდა. პირველი ეტლის დანახვისათანავე ქუდები მოიხადეს ჭ გაისმა გრიალი: გაუმარჯოს რუსეთსა! ქალები ხელსახოცებს აფრიალებდენ. ზოგიერთმა ცნობის-მოყვარე მანდილოსნებმა გააპეს ჯარი, მივიდნენ აფიცრებთან და, თითქო დიდის ხნის ნაცნობნი არიანო, ისე მიესალმნენ. ხალხში უფრო და უფრო ძლიერდება გრძნობა აღტაცებისა, ენტუზიაზმი. ყოველ მხრით გალობენ რუსეთის საგალობელს. სტუმრები ჩამოხტნენ და შევიდნენ სადგომში მოსასვენებლად. ამ დროს ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა. მაგრამ წვიმის დარდი ვისა აქვს. ხალხი აღელვებულის ხმით გაიძახის აველანის სახელს. აველანიც გამოვიდა აივანზედ. გაუმარჯოს აველანს! იგრიალა ხალხმა. გაუმარჯოს ხალხს! უპასუხა აველანმა.

აფიცრებმა ისაუზმეს 12 საათზედ და ნაშუადღევის 4 საათზედ რუსეთის ელჩის-მიერ წარდგენილ იქმნენ რესპუბლიკის პრეზიდენტის, კარნოს, წინაშე, ელისეის სასახლეში. იქავე იყო გამართული მათთვის სადილი. საღამოზედ მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულია. ელექტრონის და გაზის ლამპრები არეულია ერთმანერთში. აქი-იქ დასმულია ბოძები, ელექტრონით მორთული. და თვითეული ანათებს 200—300 სანთლის ოდენად. განათებულია არა თუ ქუჩები ჭ საზოგადო შენობანი, არამედ კერძო სახლებიც. მეტადრე ეიფელის კოშკი ჰხიბლავს კაცს თავის აფერადებით ჭ ელვარებით. ეს ამოდენა შენობა ალით არის გარემოცული, კედელი სრულიად აღარ სჩანს, ულამპროთ ერთი ალაგი არ არის დატოვებული. კოშკის წვეროდან ელექტრონის ჩირაღდანი მზესავით ანათებს და საშინელ სითბოს ჰფენს გარშემო, ასეთავე სურათს წარმოადგენენ ბაღები. რამდენი ფურცელიცაა ხეზედ იმდენი პაწია სანათობია მიკრული, და მთელი ბაღი, კაცს ჰგონია, ეს არის გადიწვისო. ერთის სიტყვით, პარიჟი არა ჩვეულებრივი სანახავი იყო, ადამიანის ჰკუა გონებას აჯადოვებდა და მის ფიქრს სადღაც საზღაპრო ქვეყანაში მიაქროლებდა.

ყოველივე ეს, სიზმარსა ჰგავდა, მხოლოდ ზღაპრებში გაგონილს. გატყდა ღამე, სწვიმს კიდეც, მაგრამ ხალხი მაინც ისევ ქუჩებშია, ისევ ხმაურობს, ისევ ჰღელავს ზღვასავით. მხოლოდ ღამის 12 საათზედ დაიშალა ნელ-ნელა ხალხი. ერთი ჯგუფი მიახლოვდა გაზეთ L'intransigeant-ის რედაქციას და მორთო ძახილი: გაუმარჯოს როშფორს, გაუმარჯოს განდევნილთ! გაუმარჯოს ამნისტიას! მეორე ჯგუფი „La Petite Republique“-ის რედაქციას შემოერტყა გარს და გაიძახოდა: გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს პადე-კალეს გაფიცულთ!

საზღვარ-გარეთელი

(დასასრული იქნება)

ტერების მიერ იჩაგრებიან, რომელნიც თავის პირად ანგარებით ხელმძღვანელობენ და მთავრობა-კი ამ საქმეში არაფერ შუაშია.

—

აზიის სამთა კავშირი(?).

ჟურნალ „The Nineteenlh Century"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი სერ ლეპელ გრიფფინისა, რომელიც დიდი ხანი იყო ინდოეთის მთავრობის წევრად.

ფრანგ-რუსთა კავშირი ძლიერ საშიშოა ინგლისისათვის და აზიისათვის, ამიტომ საჭიროა დაარსდეს აზიის სამთა კავშირი, რომელიც შესდგება ინგლისისა, ჩინეთისა და ავღანისტანიდგან. ავღანისტანის კავშირი მეტად სასარგებლოა ინგლისისთვის რუსეთის საწინააღმდეგოდ. ესევე ითქმის ჩინეთზედაც. რუსეთი ძალიან ემუქრება ჩინეთის ჩრდილოეთ საზღვრებს, ხოლო საფრანგეთმა ხელში ჩაიგდო ადგილები, რომელიც ოდესმე ჩინეთს ეკუთვნოდა და ეხლა-კი ფიქრადაც ვეღარ მოუვა ამ ადგილების დაბრუნება. გრიფფონი ამბობს ამიტომ, საჭიროა აზიის სამთა კავშირი დაარსდეს და დაარსდეს სეკრეტარიატე, რომელმაც უნდა განაგოს აზიის საქმე.

## ბიბლიოგრაფია

„Популярная библiотека медицинскихъ знанiй „Т.2-; Д-Ръ I. Боасъ: Дiэта при болѣзняхъ желудка и кишекъ. Спб. 1893 г. ц. 60 к.

ყველამ კაგად იცის ამ ჟამად, რა რიგ არის გავრცელებული კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობა. ზემოხსენებულ წიგნში მოყვანილია ფრიად საჭირო და სასარგებლო ცნობანი კუჭის ავადმყოფთათვის და აგრედვე სხვა და სხვა საჰიგიენო დარიგებანი კარგად მყოფთათვის.

## გასართობი

ერთმა კაცმა თავის მეგობარს ორი თავისი მოთხრობა მიუტანა წასაკითხად. ერთი რომ წაუკითხა ავტორმა და მეორეს იღებდა ჯიბიდგან, მეგობარმა უთხრა: „იცი, ჩემო კარგო, მე ეგ მეორე მოთხრობა უფრო მომწონსო".

—

ერთს კრიტიკოსს ერთმა დრამატურგმა ორი პიესა გაუგზავნა წასაკითხად, ერთი კომედია და ერთი ტრაგედია. კრიტიკოსმა პიესები წაიკითხა და უკან დაუბრუნა ავტორს შემდეგის ბარათით: «დიდის სიამოვნებით წავიკითხე ეს ორივე პიესა, მხოლოდ ვწუხვარ, რომ წინადვე არ შემატყობინეთ, რომელი კომედიაა და რომელი ტრაგედია, რადგანაც წაკითხვის დროს მე თითონ ვერ მივხვდი ამასა.»

—

ერთი ქვრივი ამბობდა ხოლმე, ჯერ სრულის ორმოცის წლისა არა ვარ და, თუ არ გჯერათ, ჩემს მეგობარს ბართლომესა ჰკითხეთო. „მართალიაო"—დაემოწმა ბართლომე, აგერ ოცი წელიწადი იქმნება, რაც სულ იმას ამტკიცებთ, ჯერ ორმოცის წლისა არა ვარო".

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ფრანგ-რუსთა დღესასწაულების დროს პარიჟის საბჭოს დარბაზში გაიმართა კონცერტი. რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნო საპატიო ადგილას იჯდა სავარძელზე. ცოტა მოშორებით იჯდა კაზიმირ პერიე, როგორც წარმომადგენელი დეპუტატთა პალატისა. კონცერტის დასასრულს კარნო წამოდგა ელისეს სასახლეში წასასვლელად. ყველანი წამოდგნენ და კარნო გააცილეს. შემდეგ დაბრუნდნენ, ყველა თავის ალაგას დაჯდა, ხოლო კაზიმირ პერიეს ადგილი შეეშალა და კარნოს ადგილი დაიჭირა.

1894 წელს გათავდება კარნოს პრეზიდენტობის ვადა. იქმნება ზემოხსენებულ „შეცდომას" რაიმე კავშირი ჰქონდეს პრეზიდენტის მომავალ არჩევანებთანაო!—ამბობენ საფრანგეთის გაზეთები.

**

ერთს რუსულ გაზეთში სწერია:

.. ჩაიკოვსკის საფლავზედ შეგროვდნენ მისი პატივისმცემელნი და განსვენებულის თხზულებით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

გაგონილა განსვენებულის თხზულებით პანაშვიდის გარდახდა?

## გამოსადეგი ცნობა

კირი, როგორც ხეხილის დამცველი. მეტად კარგია ხეხილისათვის კირ ნარევ წყალის წასმა ამ რიგად:

წყალში უნდა ჩაჰყაროთ კირი, კარგად მოურიოთ და ხეხილის ძირს წაუსვათ. რომ არც ბევრი გამოვიდეს კირი და არც ნაკლები, ესე უნდა შეიტყოთ: თუ ხის ძირს წასმის შემდეგ სრულიად არა დაეტყო-რა, ცოტად მაინც არ გათეთრდა, მაშინ კირი უნდა მიუმატოთ; და თუ წასმული სქლად დააჩნდა, კირი მოჭარბებული ყოფილა და წყალი უნდა მიუმატოთ.

საუკეთესო დრო ამისათვის შემოდგომაა და გაზაფხულის პირი. წასმის წინად ხის ძირი უნდა ჩამოფხიკოთ, რომ გამხმარი გარეთა კანი ჩამოუსუფთავდეს. რადგანაც წყალი კირს დაილევს ხოლმე, ამისათვის წასმის დროს მარამდე უნდა კარგად მოურიოთ. ხოლო შიგ სხვა საღებავი არ აურიოთ-რა იმ განზრახვით, რომ ხეს შნო მაეცეს. ჯერ ერთი, სხვა საღებავი შეიძლება მავნებელიც იყოს და, მეორეც, თეთრს ფერს ისეთი თვისება აქვს, რომ ხეს სიცხე-სიცივე ზომიერი ექმნება.

კირი უფრო იმითაა კარგი, რომ ხეხილს მავნებელ მწერს მოაშორებს და ხის კანში დადებულ კვერცხსაც-კი გააფუჭებს.

# დეპეშა

9 ნოემბერი.

**თეირანი.** პარასკევს საშინელი მიწის ძვრა იყო; ქალაქ კოშანის ორი მესამედი დაიქცა.

**რიო ჟანეირო.** ნიკტეროეში ყუმბარებით 300 სახლი დაანგრიეს და რავდენიმე ასი კაცი მოჰკლეს.

10 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სენატმა გადუწყვიტა გაზ. Гражданинъ რედაქტორს თ. მეშჩერსკის ათის დღით დაპატიმრება ჰაუპტვახტაში ერთის თვით დაპატიმრების მაგიერ. ეს ერთი თთვე გადუწყვიტა პალატამ სემირეჩინსკის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ ნამყოფ არისტოვის დიფამაციისათვის. სენატმა ამ საქმეში დიფამაცია არ დაინახა, გაზეთით შეურაცხყოფა მიუყენებია მხოლოდაო სამხედრო მკურნალთა სადიფამაციო საქმის გამო მეშჩერსკის გადუწყვიტეს 150 მან. ჯარიმა ექვსის კვირით დაპატიმრების მაგიერ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში წაკითხულ იქმნა სამინისტროს დეკლარაცია. კაბინეტი ამბობს, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვიქნებით კონსტიტუციის გადათვალიერებისა, სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევებისა, ერთად-ერთის გარდასახადის, შეძლების კვალობაზე გაწერილს, უარვყოფთ ყველას მეგობრობას, ვინც პატივს არა სცემს საყოველთაო კენჭის-ყრას, კერძო საკუთრებას და ვისაც არ უნდა შეიწყნაროს, რომ თითოეულმა თავისუფლად იშროშოს. მთავრობა მხნედ ეცდება დათრგუნოს ყოველ-გვარი ცდა ესის ასაღელვებლად მიმართული, მტკიცე მფარველობა გაუწიოს საზოგადო წეს-წყობილებას და დაიცვას უფლებანი საფრანგეთისა. დასასრულ დეკლარაციაში ნათქვამია, გვენდობა თუ არა პალატაო. დეკლარაცია დიდად მოიწონეს მემარცხენეთა და შუა გულ დასის წევრთ.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,$_{84}$ | 7,$_{82}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 15! | 152$^{3}/_{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა . . . . | 218 | — ,, | — ,, |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193$^{1}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — . | 98 |


# განცხადებანი

სურთ ყიდვა მამულისა

უფრო

კახეთში

ადრესი წერილის მოსაწერად და პირის-პირ მოსალაპარაკებლად: Тифлисъ, Михайловская ул. домъ № 87, противъ больницы, квартира Мirимановыхъ, В. К—ни.

(3—3)

ЧИСТКА и ГИГIЕНА ЗУБОВЪ

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЕЛЬГЕЙМЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКIЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССIИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა რუსულ ენაზედ, ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და ტფილისის სხვა მაღაზიებშიაც.

ფასი ორი მანეთი.

(6—5)

„ჩიკაგო"

წინანდელი სასტუმრო „დანია" გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „ჩიკაგო"

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—12)

გამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10$^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10$^{1}/_{2}$—11$^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი**, 11$^{1}/_{2}$—12$^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი** 12$^{1}/_{2}$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1$^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7$^{1}/_{2}$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—7$^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ა. რალლე და კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

აპონურ საპონ

„მუსმე"

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.



წისქვილის თვლები

**თვლები** ხორბლის წმინდად დასაფქვავად, ქატო ბრტყელი იქმნება.

**ტურბინები** (წყალის ამომყვანი) და ნავთით მომუშავე მანქანები „სლავა" (დიდება).

В. Б. Жуковскiй С.-Петербургъ 10. рота, 16.




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე